“დინამო” – “კრილია სოვეტოვი”

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “კრილია სოვეტოვის” სანიმუშო გუნდების კალენდარულ მატჩს, რომელიც ჩატარდა 24 მაისს ბერიას სახელობის სტადიონზე, დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

დინამოელთა თავდამსხმელები, რომლებსაც ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ნახევარდამცველები – გაგუა, ფროლოვი და ბერძენიშვილი ტაიმის პირველსავე წუთებიდან შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე.

მე–5 წუთზე პაიჭაძე მარჯვენა ფრთიდან უსხლტება სამ მოწინააღმდეგეს და კარიდან 7 მეტრით დაშორებული აწვდის ცენტრში. ბურთს ურტყამს ბერეჟნოი, მაგრამ მას იგერიებს მეკარე გოლოვკინი და დამცველი როდიონოვი. დაბრუნებულ ბურთს კვლავ პაიჭაძე ურტყამს და გააქვს გადამწყვეტი ბურთი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მოსკოველები მარჯვენა მხრიდან უტევენ დინამოელებს, მათ თამაშის ტემპის და ბურთის გადაცემის მხრივ ისახელეს თავი, მაგრამ, რაც მთავარია, სუსტად ურტყამდნენ კარში. ეს სისუსტე გამოამჟღავნეს აგრეთვე ჯეჯელავამ, ბერეჟნოიმ და პიაჭაძემ, რომლებმაც 3 და 5 მეტრ მანძილიდან ვერ შეძლეს ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით – 1:0.

ამრიგად თბილისის “დინამომ” 5 მატჩის 10 შესაძლებლობიდან მოაგროვა 8 ქულა.

დინამოელებიდან კარგად თამაშობდნენ გაგუა, ფროლოვი, მ. ბერძენიშვილი და ტყებუჩვა.

ვ.ბ.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 26 მაისი, 1940 წ.